



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/16

19 მაისი 2022

ქ. თბილისი

„საგანგებო მდგომარეობასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიშ ეპიდემიასთან ან პანდემიასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონებით მოსარგებლეთა მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 ოქტომბრის №507 დადგენილების შესაბამისად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოიჯარეებისთვის ფინანსური შეღავათის გაწევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2022 წლის 5 მაისის №0000454604 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, „საგანგებო მდგომარეობასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიშ ეპიდემიასთან ან პანდემიასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონებით მოსარგებლეთა მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 ოქტომბრის №507 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოიჯარეებს გაუწიოს ფინანსური შეღავათი:

- ა) შპს „ვილა ძარა“ 535 კვ/მ – 294 471,75 ლარი.
- ბ) შპს „ვილა ძარა ჯგუფი“ 717,56 კვ/მ – 447 136,2 ლარი;
- გ) შპს „ვილა ძარა ჯგუფი“ 538,6 კვ/მ – 197 731,37 ლარი;
- დ) შპს „ვილა ძარა ჯგუფი“ 364,2 კვ/მ – 30 192,24 ლარი;
- ე) შპს „ნიუტექნოლოჯი იმპექსი“ 575 კვ/მ. – 78 436,97 ლარი;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი



ჯემალ გახოვიძე